Matlab-ის ელემენტები

ასისტენტ პროფესორი ნანა ოდიშელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნემისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინტერდისციპლინური (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები) ქვემიმართულება: მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული სტრუქტურები

ბაკალავრიატი
თბილისი 2012

შესავალი.

პროგრამა “Matlab” –ი წარმოადგენს მაღალდონიან ტექნიკურ გამომთვლელ ენას და ინტერაქტიულ გარემოს ალგორითმების დასამუშავებლად. ის გამოიყენება მონაცემების ანალიზისთვის და მისი ვიზუალიზაციისთვის, რიცხვითი გათვლებისათვის. ტექნიკური გამომთვლელი ამოცანების უფრო სწრაფად ამოხსნა შესაძლებელია პროგრამა “Matlab”–ის გამოყენებით ვიდრე, ტრადიციული პროგრამირების ენების საშუალებით, ისეთი როგორიცაა C, C++ , Fortran.

პროგრამა “Matlab”–ის საშუალებით შესაძლებელია ფუნქციის გრაფიკების აგება, განტოლებების ამოხსნა, სტატისტიკური ტესტების შესრულება და ბევრი სხვა. შესაძლებელია გააერთიანოთ მათემატიკური გამოთვლები ტექსტთან და გრაფიკასთან იმისათვის, რომ მიიღოთ სრულყოფილი ინტეგრირებადი ინტერაქტიული დოკუმენტები.

შესალებელია სიმულაციისა და მოდელირების წარმოქმნა (თუ გაქვთ წვდომა დამატებით პროგრამასთან Simulink-თან). შესაძლებელია ხმის და ანიმაციური გრაფიკის შექმნა. ასევე შესაძლებელია მასალების შექმნა ინტერნეტში ექსპორტირებისათვის.

MATLAB (Matrix LABarotatory- მატრიცული ლაბორატორია) დამუშავებულია ფირმით The Math Works Inc. (აშშ, ქ. ნეიტიკი, შტ. მასაჩუსეტი).

სამუშაოს დაწყება.

პროგრამა “Matlab”-ის გაშვება

პროგრამა “Matlab”-ის გაშვება ხდება ისევე როგორც ნებისმიერი პროგრამის გაშვება: Windows -ის ოპერაციულ სისტემაში მთავარი მენიუდან (Start), სადაც პროგრამა აღნიშნულია სახელით “MATLAB 7” ან “ Student MATLAB”, Linux ან Unix ოპერაციულ სისტემებში საზოგადოდ საკმარისია ტერმინალის ფანჯარაში შევიტანოთ სიტყვა matlab-ი. შესაძლებელია აგრეთვე ისარგებლოთ პროგრამის იარლიყით სამუშაო მაგიდაზე, რომლის საშუალებითაც შესრულდება იგივე ამოცანა.

პროგრამა “Matlab” ის ფანჯრები

პროგრამის გაშვების შედეგად გაიშვება პროგრამა “Matlab” –ის ძირითადი ფანჯარა, რომელსაც სამუშაო მაგიდას ვუწოდებთ. ეს ფანჯარა შეიცავს სათაურის სტრიქონს (პროგრამის სახელწოდებას- **MATLAB**), მენიუს სტრიქონს, ინსტრუმენტთა პანელს და ოთხ შიდა ფანჯარას რომელთაგან ერთი დაფარულია. ყველაზე მნიშვნელოვანი ფანჯარაა **Command Window** (ბრძანების ფანჯარა) მარჯვენა მხარეს. სამი დანარჩენი ფანჯრებია: **Command History** (ბრძანებათა ისტორია), **Current Directory** (მიმდინარე საქაღალდე), **Workspace** (სამუშაო არე).

ეს ფანჯრები და სხვა ზოგიერთი ფანჯარაც შესაძლებელია გაშვებული იყოს ცალკეც და ჩამაგრებულიც სამუშაო მაგიდის ფანჯარაში. მათი ჩამაგრება

ხდება Desktop (სამუშაო მაგიდის(View-Desktop Layout---)) - ის საკუთარი მენიუდან. შეგიძლიათ გააქროთ ან ცალკე გამოიტანოთ თუ მისი ფანჯრის მარჯვენა კუთხის გაღუნულ ისარზე დააწკაპუნებთ.



ფანჯარა Command Window (ბრძანების ფანჯარა)

Command Window ფანჯრის ზედა ნაწილში შესაძლოა დავინახოთ ზოგადი ინფორმაცია **MATLAB** – თან დაკავშირებით, გარკვეული ინსტრუქცია სამუშაოს დაწყებისას, მაგრამ რაც მთავარია თქვენ დაინახავთ ბრძანების სტრიქონის მიწვევას (>> ან EDU >>) ამ არეში შეგვაქვს ბრძანებები. ფანჯარა რომ გავააქტიუროთ, მასზე დავაწკაპუნოთ ნებისმიერ ადგილას.

ფანჯარა **Command Window** გაყოფილია ორ ზონად: დათვალიერებისა და რედაქტირების ზონებად.



დათვალიერების ზონაში ჩასწორება შეუძლებელია, მისი ნებისმიერი ფრაგმენტი შეიძლება გამოვყოთ თაგვით, შემდგომ დავაკოპიროთ ბუფერში და მერე ჩავსვათ ბრძანების სტრიქონში **MATLAB** ან სხვა დოკუმენტში.

ფანჯარა **Command Window** -ს სუფთავდება ბრძანებით - **clc.**
ლოგიკური სტრიქონის სიგრძე არ აღემატება 256 სიმბოლოს.

საბრძანებო სტრიქონის გაგრძელება რამდენიმე ფიზიკურ სტრიქონად ხდება სამი წერტილის დაბოლოებით ყოველი ბრძანებისა და ENTER –ით.



კლავიშების ↑↓ მოქმედებით ხდება წინა ან მომდევნო ბრძანებების შესრულება.

ფანჯარა Workspace (სამუშაო არე).

ცვლადების მნიშვნელობები, რომლებიც გამოითვლება სამუშაო სეანსის დროს ინახება სპეციალურად გამოყოფილ კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერების არეში, ეგრეთ წოდებულ **MATLAB** -ის **სამუშაო არეში –Workspace.**

იმისათვის რომ დავადგინოთ ნებისმიერი ცვლადის მნიშვნელობა საკმარისია ბრძანების სტრიქონში ავკრიფოთ ცვლადის სახელი და დავაჭიროთ **ENTER**, ანდა ფანჯარა **Workspace**-ში , რომელშიც ასახულია ყველა ცვლადები, რომლებიც გამოყენებულ იქნენ მუშაობისას, ორჯერ დავაწკაპუნოთ მათზე თაგვის მარცხენა ღილაკით. ამის შედეგად ჩნდება ფანჯარა **Array Editor** (მასივის რედაქტორი), რომელშიც შეიძლება დავათვალიეროთ ცვლადები და შევცვალოთ მათი მნიშვნელობები. ეს ფანჯარა იხსნება აგრეთვე **openvar** ბრძანებითაც.



უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის ეფექტურობა მცირდება იმის და მიხედვით თუ რამდენად იზრდება სამუშაო სივრცე. ამიტომ, თუ საჭიროება მათ შენახვას აღარ მოითხოვს, საჭიროა მათი წაშლა მეხსიერებიდან.

clear name1 name2…

name1, name2- წასაშლელი ცვლადების სახელები. ან როგორც

clear (‘name1’ ,‘name2’)

ყველა ცვლადის ერთბაშად წაშლა: **clear**



ყველა ცვლადთა სია **Workspace** ფანჯარაში აისახება სამუშაო ფანჯარაში ბრძანებით – **who.**

ბრძანება – **whos** გვაძლევს ცნობებს ყველა მოცემულ ცვლადებზე



ცვლადებს **A** და **c** მიენიჭათ რიცხვითი მნიშვნელობები და აღნიშნულნი არიან როგორც **‘double array’** (‘ორმაგი მასივი’), მოცემულ შემთხვევაში მასივს **c** აქვს

განზომილება **1x1**, ე. ი. არის სკალარი. ცვლადი **b** არის სიმბოლური **'char array'** ('სიმბოლური მასივი').

ბრძანება – **whos** არ გვაძლევს მოცემული ცვლადების მნიშვნელობებს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ყველა გამოთვლილი ცვლადები რომ შევინახოთ ფაილში და შემდგომ გამოვიყენოთ უნდა შევასრულოთ:

File-Save Workspace as…, ან **save path_to_file\ name_ MAT-file**

ასეთ ფაილებს აქვთ გაფართოება mat, მათ უწოდებენ **'MAT- ფაილებს'.**

თავიდან რომ აღვადგინოთ ყველა ცვლადის მნიშვნელობა ვიყენებთ ბრძანებას: **load_file\ name_ MAT-file**



save C:\MATLAB6p5\work\myf c - აქ ფაილში სახელწოდებით **myf.mat** შენახულია მხოლოდ **c** ცვლადის მნიშვნელობა და აღდგება მხოლოდ **c** -ს მნიშვნელობა: **load myf c.**

load natl - აქ აღდგება ყველა ცვლადის მნიშვნელობა **natl.mat** ფაილში.

მიმდინარე კატალოგის სახელის დასადგენად შეასრულეთ ბრძანება: **cd**

მიმდინარე კატალოგის შეცვლა ხდება ბრძანებით: cd_ path_to_new catalog

მიმდინარე კატალოგში **(Current Directory)** შეგიძლიათ შექმნათ ახალი კატალოგი, ვთქვათ **ProjectA:**

mkdir ProjectA.

ფანჯარა Command History (ბრძანებათა ისტორია)

ფანჯარაში Command History არის ყველა ის ინფორმაცია რაც შეგიტანეთ **Command Window** ფანჯარაში, რაც გვაძლევს საშუალებას დავათვალიეროთ ყველა ის ბრძანება რაც შეგიტანეთ ადრე. თუ მათზე დავაწკაპუნებთ, ეს

ბრძანება დაუყონებლივ შესრულდება **Command Window** ფანჯარაში. ასევე, შეგვიძლია მოვნიშნოთ ბრძანებები **Command History** ფანჯარაში, მერე ავირჩიოთ ბრძანება **Copy** და ბრძანებით **Paste** ჩავწერთ **Command Window** ფანჯარაში და მზად იქნება რედაქტირებისათვის.

სამუშაოს დასრულება

სამუშაოს დასრულება ხდება
FILE-EXIT MATLAB
HELP.
HELP NAVIGATOR: CONTENTS, INDEX, SEARCH, DEMOS.
doc sin, help factor, help general
lookfor factor

პროგრამა "Matlab"ის საფუძვლები.

შეტანა გამოტანა.

ბრძანებები პროგრამა "Matlab"-ში შეგვყავს **Command Window** ფანჯარაში**.** პროგრამა აბრუნებს მნიშვნელობებს ორი გზით: ტექსტი და რიცხვითი შედეგები ჩნდება იმავე ფანჯარაში **Command Window,** მხოლოდ გრაფიკული შედეგი აღიბეჭდება სხვა ფანჯარაში



ასეთი ეკრანის მისაღებად აკრიფეთ: 1/2+1/3 და ezplot ('x^3-x').

არითმეტიკა.

პროგრამა “Matlab” -ის გამოყენება შეიძლება როგორც კალკულატორი.

ძირითადი ოპერატორები:

მინიჭების ოპერატორი =

მიმატება +

გამოკლება –

გამრავლება *

გაყოფა /

ახარისხება ^.

მაგალითი

9-(5+4)/2+6*3

ans =

22.5000

პროგრამა “Matlab” -ს გამოაქვს პასუხი და აღნიშნავს მნიშვნელობას ცვლადით ans. თუ მოგინდებათ ჩაატაროთ შემდგომი გამოთვლები მიღებულ პასუხთან შეგიძლიათ გამოიყენოთ ცვლადი **ans**, იმის მაგივრად რომ ხელახლა შემოიყვანოთ რიცხვითი მნიშვნელობა. მაგალითად, შეგიძლიათ გამოთვალოთ მიღებული პასუხის კვადრატის და მისი ფესვის ჯამი:

ans^2+sqrt(ans)

ans =

510.9934

იმისათვის, რომ ჩავატაროთ რთული გამოთვლები თქვენ შეგიძლიათ ცვლადებს მიანიჭოთ გამოთვლილი მნიშვნელობები, მაგალითად:

```
>> u=cos(10)
u =
  -0.8391
>> v=sin(10)
v =
  -0.5440
>> u^2+v^2
ans =
       1
```

აღსანიშნავია, რომ პროგრამა "Matlab" -ში ტრიგონომეტრიულ ფუნქციებში გამოიყენება რადიანები და არა გრადუსები.

ნამდვილ რიცხვთა წარმოდგენის ფორმატი

პროგრამა "Matlab" -ში რიცხვების წარმოსადგენად გამოიყენება ფორმატი მცოცავი წერტილით, რომელშიც ნებისმიერი რიცხვი მოიცემა მანტისისა და ხარისხის მაჩვენებლის საშუალებით და ჩაიწერება შემდეგი სახით, მაგალითად:
8.134838545e+10; 581e-1; 5.4; -312
სადაც **e** არის 10 -ის ხარისხის ფუძე.

მონაცემთა ასეთ ტიპს ეწოდება **Double.** მანტისისათვის და ხარისხის მაჩვენებლისათვის (მანქანურ დონეზე გამოიყენება ჩანაწერის ორობითი სისტემა) გამოიყოფა მეხსიერების 8 ბაიტი.

პროგრამა "Matlab" -ის მოდულით უდიდესი **realmax** და უმცირესი **realmin** ნამდვილი რიცხვებია:

```
>> realmax
ans =
   1.797693134862316e+308
>> realmin
ans =
   2.225073858507201e-308
```

რიცხვების წარმოსადგენად **Command Window** ფანჯარაში გამოიყენება ფორმატები: **short, long, rat, hex**.

გაჩუმების პრინციპის თანახმად პროგრამა "Matlab" -ი მონაცემს წარმოაჩენს 5 ნიშნის სიზუსტით. რომ წარმოჩინდეს მეტი ნიშნით, შეიტანეთ ბრძანება **format long**. მაშინ ყველა რიცხვით მნიშვნელობებს წერტილის შემდეგ ექნება 15 ნიშანი. რომ დავუბრუნდეთ ისევ 5 ნიშნა ჩვენებას, შეიყვანეთ ბრძანება **format short.** მაგალითი:

```
>> format long
>> v
v =
  -0.54402111088937
>> format short
>> v
v =
  -0.5440
```

ნამდვილი რიცხვის წარმოსაჩენად წილადის სახით გამოიყენება ფორმატი **rat**

```
>> r =1.3
```

```
>> format rat
>> r
r =
   13/10
```

ქვემოთ წარმოდგელია რიცხვების სხვადასხვა ფორმატები, რომლებიც გამოყენებულია x ვექტორის წარმოსადგენად:

```
>> x=[4/3 1.2345e-6];

>> format short
   1.3333    0.0000
>> format short e
  1.3333e+000  1.2345e-006
>> format short g
      1.3333  1.2345e-006
>> format long
  1.33333333333333   0.00000123450000
>> format long e
   1.333333333333333e+000    1.234500000000000e-006
>> format long g
        1.33333333333333             1.2345e-006
>> format bank
        1.33         0.00
>> format rat
    4/3         1/810045
>> format hex
  3ff5555555555555   3eb4b6231abfd271
```

კომლექსური რიცხვები

პროგრამა “Matlab” -ში გაჩუმების პრინციპის თანახმად ცვლადებს **i, j** ენიჭებათ მნიშვნელობა $\sqrt{-1}$. ხშირად ისინი გამოიყენებიან ინდექსებად და ენიჭებათ სხვა მნიშვნელობები. ამის თავიდან ასაცილებლად სამუშაოს დაწყების წინ სასურველია გამოვიყენოთ ბრძანება: **clear i, j;**

```
 >> clear i, j;
>> a=1+i
>> format short
>> a
a =
  1.0000 + 1.0000i.

>> abs(a)
ans =
   1.4142
>> real(a)
ans =
    1
>> imag(a)
ans =
    1
>> angle(a)
```

```
ans =
   0.7854
>> conj(a)
ans =
  1.0      - 1.0000i
```

შექმნილი პრობლემების გადაჭრა: წარმოქმნილი შეცდომები შეტანის დროს.

შეცდომის დაშვების შემთხვევაში პროგრამა “Matlab” -ს შეტანის სტრიქონში გამოაქვს ეკრანზე შენიშვნა მაგალითად:

```
>> 3u^2
??? 3u^2
   |
Error: Missing operator, comma, or semicolon.
```

შეცდომა მდგომარეობს გამრავლების ოპერატორის * არ არსებობაში. გამოსახულების სწორად ჩაწერის ფორმაა: **3*u^2.** მარკერი | განათავსდება იმ ადგილას სადაც უნდა იყოს შეცდომა. მაგრამ რეალური შეცდომა შეიძლება იყოს გამოსახულებაში ამ ნიშნის შემდგომ ან მანამდე.

დამწყები მომხმარებლის ხშირი შეცდომებია ფრჩხილებისა და გამრავლების ოპერატორის გამოტოვება.

გამოთვლების შეწყვეტა

თუ პროგრამა “Matlab” -ი ვეღარ ფუნქციონირებს ისე კარგად, ანუ ოპერაციის შესრულებას ანდომებს დიდ დროს, მაშინ შეგიძლიათ შეწყვიტოთ ოპერაცია კლავიშით: **Ctrl +C** .

ალგებრული და სიმბოლური გამოთვლები

თუ გამოიყენებთ ინსტრუმენტს **Simbolic Math Toolbox (**სიმბოლური მათემატიკის ინსტრუმენტი**)** თქვენ შეგიძლიათ განახორციელოთ ალგებრული და სიმბოლური გამოთვლები. იმისათვის, რომ დარწმუნდეთ რომ დაყენებული გაქვთ კომპიუტერში **Simbolic Math Toolbox ,** ბრძანების სტრიქონში შეიყვანეთ **help symbolic.**

სიმბოლური გამოთვლების ჩასატარებლად საჭიროა გამოვიყენოთ ბრძანება **syms.** იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ალგებრული და სიმბოლური გამოთვლები, ისეთი როგორიცაა მამრავლებად დაშლა, ან ალგებრული განტოლებების ამოხსნა. განვიხილოთ ბრძანებების ნუსხა:

```
>> syms x y
>> (x-y)*(x-y)^2
 ans =
 (x-y)^3

 >> expand(ans)
 ans =
```

x^3-3*x^2*y+3*x*y^2-y^3

>> factor(ans)
ans =
(x-y)^3

ბრძანება **expand** -ით ხდება გამოსახულების მამრავლებად დაშლა. ბრძანება **factor** -ით კი ხდება აღდგენა საწყის შეკუმშულ ფორმაში. ბრძანება **simplify** გამოიყენება ფორმულის გასამარტივებლად.

>> simplify((x^3-y^3)/(x-y))
ans =
x^2+x*y+y^2

პროგრამა "Matlab" -ს გააჩნია აგრეთვე ბრძანება **simple** რომელიც ხანდახან უფრო უკეთ მოქმედებს ბრძანება **simplify** -ზე. იხილეთ მაგალითი:

sin(x)*cos(y)+sin(y)*cos(x)
syms x y
>> simple(sin(x)*cos(y)+sin(y)*cos(x))
.
.
ans =
sin(x+y)

და

simplify(sin(x)*cos(y)+sin(y)*cos(x))
ans =
sin(x)*cos(y)+sin(y)*cos(x)

ერთი და იგივე ხარისხის მქონე ცვლადებთან მდგომი კოეფიციენტების დაჯგუფება ხდება ბრძანებით **collect.** მაგალითები:

გავამარტივეთ გამოსახულება $a\log x - x\log x - x$

>> syms a x
>> f=a*log(x)-log(x)*x-x
f =
a*log(x)-log(x)*x-x
>> collect(f,log(x))
ans =
(a-x)*log(x)-x

გავამარტივეთ გამოსახულება x*y+a*x*y+y*x^2-a*y*x^2+x+a*x

>> syms x y a
>> p=x*y+a*x*y+y*x^2-a*y*x^2+x+a*x
p =
x*y+a*x*y+y*x^2-a*y*x^2+x+a*x
>> collect(p,x)
ans =
(y-a*y)*x^2+(y+a*y+1+a)*x
>> collect(p,y)
ans =
(x^2-a*x^2+x+a*x)*y+x+a*x

შეტანა სიმბოლურ გამოსახულებებში.

როდესაც მოცემული გვაქვს სიმბოლური გამოსახულება რომელიც შეიცავს სიმბოლურ ცვლადს და გვინდა ის შევცვალოთ სხვა რაიმე ცვლადით, რიცხვით ან გამოსახულებით ვიყენებთ ბრძანებას **subs.** მაგალითად, მოცემული გვაქვს სიმბოლური გამოსახულება **w=u^2-v^2,** რომელიც შეიცავს სიმბოლურ ცვლადს **u.** მაშინ ბრძანებით **subs(w,u,2)** ცვლადი **u** შეიცვლება **2-**ით.

აი რამდენიმე მაგალითი:

```
d=1, syms u v
d =
    1
>> w=u^2-v^2
w =
 u^2-v^2
 >> subs(w,u,2)
 ans =
 4-v^2
 >> subs(w,v,d)
 ans =
 u^2-1
 >> subs(w,v,u+v)
 ans =
 u^2-(u+v)^2
 >> simplify(ans)
 ans =
 -2*u*v-v^2
```

სიმბოლური გამოსახულებები, ცვლადის სიზუსტე და ზუსტი არითმეტიკა.

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამა “Matlab” -ი იყენებს თავის გამოთვლებში არითმეტიკას მცოცავი წერტილით. თუ გამოიყენებთ **Simbolic Math Toolbox,** შეგიძლიათ ჩაატაროთ ზუსტი არითმეტიკული გამოთვლები სიმბოლური გამოსახულების საშუალებით. განიხილეთ მაგალითი:

```
>> cos(pi/2)
ans =
  6.1232e-017
```

პასუხი მიღებულია მცოცავი წერტილის ფორმატში და აღნიშნავს 6.1232e-017. მაგრამ ვიცით, რომ **cos(pi/2)** უდრის ნოლს. ეს ხდება იმის გამო, რომ კონსტანტა **pi** მოიცემა პროგრამა “Matlab” -ში მიახლოებით π -თან სიზუსტით 15 ნიშნამდე. იმისათვის რომ მივიღოთ ზუსტი მნიშვნელობა, უნდა შევქმნად ზუსტი სიმბოლური წარმოდგენა $\left(\frac{\pi}{2}\right)$. ამისთვის შემოვიტანოთ ბრძანება **sym('pi/2').** ეხლა განვიხილოთ კოსინუსი $\left(\frac{\pi}{2}\right)$ სიმბოლური წარმოდგენისა:

```
>> cos(sym('pi/2'))
ans =
0
```

ეს კი არის მოსალოდნელი პასუხი.

sym('pi/2') ბრძანებაში, ბრჭყალები - რომელშიც არის მოთავსებული **pi/2,** ქმნიან სიმბოლურ სტრიქონს, რომელიც შეიცავს **pi/2** სიმბოლოებს და პროგრამა "Matlab" –ში ვეღარ გამოითვლება როგორც რიცხვი მცოცავი წერტილით.

ბრძანება **sym** -ს სტრიქონი გადაყავს სიმბოლურ გამოსახულებაში. ბრძანება **syms x** ეკვივალენტურია ბრძანებისა **x=sym('x').** მაგალითი: შევკრიბოდ სიმბოლურ ფორმაში **1/2+1/3**

```
>> sym('1/2')+sym('1/3')
ans =
5/6
```

შეგიძლიათ აგრეთვე მოახდინოთ გამოთვლები მოცემული სიზუსტით **vpa** ბრძანების საშუალებით.

```
>> vpa('sqrt(2)',50)
ans =
1.4142135623730950488016887242096980785696718753769
```

გამოვთვალეთ $\sqrt{2}$ სიზუსტით 50 ნიშნამდე მძიმის შემდეგ.

მაგალითები:

```
>> 3^45
ans =
  2.9543e+021
>> vpa(3^45)
 ans =
29543127065508336107 52.
 >> vpa('3^45')
 ans =
 29543127065508336986 43.
```

პირველი გამოსახულება იძლევა მიახლოებით შედეგს მცოცავი წერტილით, რადგან პროგრამა "Matlab"-ი აწარმოებს გამოთვლებს ხარისხიანი გამოსახულებისა 16 ნიშნამდე, ამიტომ მეორე პასუხი იქნება ზუსტი პირველი 16 ნიშნის ფარგლებში მძიმის შემდეგ, მესამე გამოსახულება იძლევა ზუსტ პასუხს.

სიმბოლური ცვლადები, გამოსახულებები და მატრიცები.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სიმბოლური გამოსახულება იქმნება ბრძანებით **sym(´სიმბოლური გამოსახულება´).**

სიმბოლური გამოსახულების შესაქმნელად, რომელიც შეიცავს გამოსახულებას ax^2+bx+c, საჭიროა შესრულდეს შემდეგი ბრძანება:

f=sym('a*x^2+b*x+c')

უნდა აღინიშნოს, რომ აქ შემოტანილი გამოსახულება განხილული იქნება როგორც ერთი ცვლადი. იმისათვის, რომ გვქონდეს საშუალება, რომ ვცვალოთ ax^2+bx+c გამოსახულებაში შემავალი კოეფიციენტების და ცვლადების მნიშვნელობები, საჭიროა შესრულდეს შემდეგი ბრძანებები:

```
>> syms a b c x
>> f=sym('a*x^2+b*x+c')
 f =
 a*x^2+b*x+c
```

აბსტრაქტული ფუნქციის **f(x)** შესაქმნელად საჭიროა შესრულდეს შემდეგი ბრძანება:

```
>> clear
>> f=sym('f(x)')
 f =
 f(x)
```

შექმნილი **f(x)** აბსტრაქტული ფუნქციის გამოყენებით შეიძლება შევქმნათ ახალი ფუნქცია **df**, ამისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი ბრძანება:

```
 >> df=(subs(f,'x','x+h')-f)/'h'
 df =
 (f(x+h)-f(x))/h
```

ზემოთ შექმნილი ფუნქცია $df(x)$ განიხილება როგორც ერთეული ცვლადი. იმისათვის რომ გვქონდეს საშუალება ვცვალოთ **x,h** მნიშვნელობები, საჭიროა აღიწეროს ცვლადები როგორც სიმბოლური

```
>> syms x h
df=(subs(f,x,x+h)-f)/h
 df =
 (f(x+h)-f(x))/h
```

აქ $df(x)$ ფუნქციის გარეგანი სახე რჩება შეუცვლელი. ქვევით გამოთვლილია $df(x)$ როცა $h=1$

```
>> subs(df,h,1)
 ans =
 f(x+1)-f(x)
```

როცა $x=1$

```
>> subs(df,x,1)
 ans =
 (f(1+h)-f(1))/h
```

ეხლა შევქმნად სიმბოლური მატრიცა

```
 >> syms a b c
>> A=[a b c; b c a; c a b]
 A =
 [ a, b, c]
[ b, c, a]
[ c, a, b]
```

სიმბოლური დიფერენცირებადობა.

f(x) ფუნქციის გაწარმოება რომ მოვახდინოთ, საჭიროა 1) წარმოვადგინოთ გამოსახულება, რომელიც აღწერს ფუნქციას, 2) გამოვიყენოთ **diff** ფუნქცია**.** მაგალითი: $f=x^3$

```
>> syms x
>> f=x^3
 f =
 x^3
 >> diff(f)
 ans =
 3*x^2
```

შეიძლება ასეც ჩაიწეროს

```
>> diff(f,x)
 ans =
 3*x^2
```

f(x) ფუნქციის მეორე რიგის წარმოებულია

```
>> diff(f,2)
 ans =
 6*x
```

მაგალითი: გამოთვალეთ $f = \sin(ax)$ წარმოებული a პარამეტრით.

```
>> syms a x
>> f=sin(a*x)
 f =

sin(a*x)
 >> diff(f,a)
 ans =
 cos(a*x)*x
```

მაგალითი: გამოთვალეთ წარმოებული $\begin{pmatrix} \cos(ax) & \sin(ax) \\ -\sin(ax) & \cos(ax) \end{pmatrix}$ მატრიცის

```
>> syms a x
>> A=[cos(a*x),sin(a*x);-sin(a*x),cos(a*x)]
 A =
 [  cos(a*x),  sin(a*x)]
[ -sin(a*x),  cos(a*x)]
 >> diff(A)
 ans =
 [ -sin(a*x)*a,  cos(a*x)*a]
[ -cos(a*x)*a, -sin(a*x)*a]
```

სიმბოლური ინტეგრირება.

პროგრამა **MATLAB**-მა შეუძლია აწარმოოს განსაზრვრული და განუსაზღვრელი ინტეგრალების გამოთვლები. სიმბოლური ინტეგრირებისათვის გამოიყენება ფუნქია **int,** რომელსაც გააჩნია შემდეგი სინტაქსი

$\text{int}(f)$

$\text{int}(f,[u]),$

$\text{int}(f,[u,a,b]),$

სადაც **f** –სიმბოლური ინტეგრალქვეშა ფუნქციაა, **u**-ინტეგრირების ცვლადი, ***a***-ინტეგრირების ქვედა ზღვარი, ***b***- ინტეგრირების ზედა ზღვარი.

განვიხილოთ განუსაზღვრელი ინტეგრალი

```
>> int('x^2','x')
 ans =
 1/3*x^3
```

შეიძლება ასეც ჩაიწეროს

```
>> syms x,
>> int(x^2,x)
 ans =
 1/3*x^3
```
შეიძლება ასეც ჩაიწეროს
```
>> int(x^2)
ans =
 1/3*x^3
```
განვიხილოთ განსაზღვრული ინტეგრალი
```
>> syms x,int(asin(x),0,1)
 ans =
 1/2*pi-1
```
გამოთვალეთ $\int \frac{dx}{a^2+(bx)^2}$
```
>> syms a b x
>> int(1/(a^2+(b*x)^2))
 ans =
 1/a/b*atan(b*x/a)
```
გამოთვალეთ $\int_0^{a/b} \frac{dx}{a^2+(bx)^2}$
```
>> syms a b x
>> int(1/(a^2+(b*x)^2),0,a/b)
 ans =
 1/4*pi/a/b
```

ორმაგი ინტეგრალის დათვლა.

ვთქვათ გამოსათვლელია ინტეგრალი
$\int_0^{\pi}\int_0^{\sin x}(x^2+y^2)dydx$
```
>> syms x y,int(int(x^2+y^2,y,0,sin(x)),0,pi)
 ans =
 pi^2-32/9
```

ზღვრების გამოთვლა

მარჯვენა და მარცხენა ზღვრების დასათვლელად შეიძლება გამოიყენოთ ბრძანება $\lim it$. მაგალითად $\lim_{x\to 0}\sin(x)/x$
```
>> syms x, limit(sin(x)/x,x,0)
 ans =
 1
```
ცალმხრივი ზღვრების დასათვლელად გამოიყენეთ პარამეტრები **'right'** და **'left'**

```
>> syms x, limit(sin(x)/x,x,0,'left')
 ans =
 -1

>> syms x, limit(sin(x)/x,x,0,'right')
 ans =
 1
```

უსასრულო ზღვრის დათვლა შეიძლება **Inf** სიმბოლოს გამოყენებით.

გამოთვალეთ $\lim_{x\to\infty}\frac{x^4+x^2-3}{3x^4-\log x}$:

```
>> limit((x^4+x^2-3)/(3*x^4-log(x)),x,inf)
 ans =
 1/3
```

გამოთვალეთ $\lim_{n\to\infty}(1+\frac{x}{n})^n$:

```
>> syms x n
>> limit((1+x/n)^n,n,inf)
 ans =
 exp(x)
```

გამოთვალეთ $\lim_{x\to 1}\frac{1}{1-x}$:

```
>> syms x
>> limit(1/(1-x),x,1)
 ans =
 NaN
```

აქ ცვლადი **NaN** აღნიშნავს რომ ზღვარი ფუნქციისა $\frac{1}{(1-x)}$ წერტილში **x=1** არ არსებობს..

ჯამი და ნამრავლი.

სასრული რიცხვითი ჯამები და ნამრავლები შეიძლება ადვილად გამოითვალოს თუ გამოიყენებთ პროგრამა **MATLAB**-ის ვექტორულ შესაძლებლობას და **sum** და **prod** ბრძანებებს. მაგალითად

```
>> x=1:7
x =
    1    2    3    4    5    6    7
>> sum(x)
ans =
   28
>> prod(x)
ans =
       5040
```

symsum ბრძანებით შეგიძლიათ განსაზღვროთ სასრული და უსასრულო ჯამები სიმბოლურ ფორმაში. მაგალითად $\sum_{k=1}^{n}\left(\frac{1}{k}-\frac{1}{k+1}\right)$

```
>> syms k n;symsum(1/k-(1/(k+1)), 1, n)
 ans =
 -1/(n+1)+1
```

გამოთვალეთ $\sum_{k=1}^{\infty}\frac{1}{k^4}$:

```
>> syms x k
>> s1=symsum(1/k^4,1,inf)

s1 =
 1/90*pi^4
```

გამოთვალეთ $\sum_{k=1}^{10}\frac{1}{k^4}$:

```
>> syms x k
>> s1=symsum(1/k^4,1,10)
 s1 =
43635917056897/40327580160000
```

ტეილორის მწკრივი

შესაძლებელია გამოიყენოთ ბრძანება **taylor** იმისათვის რომ შექმნათ ტეილორის მწკრივის გამოსახულება მოცემული ხარისხით მოცემულ წერტილში. მაგალითად, იმისათვის, რომ $\sin x$ ფუნქციისათვის შევქმნად ტეილორის მრავალწევრი $x=0$ წერტილში ხარისხად 9, გამოიყენეთ ბრძანებები:

```
>> syms x; taylor(sin(x),x,10)
 ans =
x-1/6*x^3+1/120*x^5-1/5040*x^7+1/362880*x^9
```

- **ვექტორები და მატრიცები**.
- **ფუნქციები.** ჩაშენებული ფუნქციები.

ვექტორები და მატრიცები

ვექტორი

პროგრამა “Matlab” –ში თქვენ შეგიძლიათ შემოიტანოთ ნებისმიერი სიგრძის **ვექტორი,** სადაც რომლი კომპონენტები გამოიყოფებიან მძიმით ან პრობელით და კვადრატულ ფრჩხილებში განთავსდებიან. მაგალითად

```
>> Z=[2,4,6,8]
Z =
   2    4    6    8
```

```
>> Y=[4 -3 5 -2 1]
Y =
   4   -3    5   -2    1
```
თუ გინდათ შექმნათ ვექტორი კომპონენტებით 1 დან 9 მნიშვნელობით, ისე რომ ყოველი რიცხვი არ შევიტანოდ შესაძლებელია ასეთ ნაირად
```
>> X=1:9
X =
     1     2     3     4     5     6     7     8     9
```
აქ ბიჯია 1 ტოლი. თუ გვინდა რომ ბიჯი სხვა რაიმე რიცხვი იყოს მაგალითად 2 ტოლი , მაშინ გვექნება
```
>> X=1:2:9
X =
     1     3     5     7     9.
```
ბიჯი შესაძლებელია იყოს წილადი და უარყოფითიც, მაგალითად -0.2
```
>> X=1:-0.2:0.1
X =
    1.0000    0.8000    0.6000    0.4000    0.2000
```

X ვექტორის ელემენტები შეიძლება გამოვყოთ ასეც **X(3), X(5)**

```
>> X(3)
ans =
   0.6000
>> X(5)
ans =
   0.2000
```
იმისათვის რომ ვექტორი სტრიქონის ფორმიდან გადავიყვანოთ ვექტორულ ფორმაში გამოიყვანება სიმბოლოს (') გამოყენებით ვექტორის შემდეგ
```
>> X'
ans =
   1.0000
   0.8000
   0.6000
   0.4000
   0.2000
```
შეგიძლიათ ვექტორებზე შეასრულოთ მატემატიკური ოპერაციები. მაგალითად X ვექტორის ელემენტების კვადრატში აყვანა ხდება ბრძანებით .^
```
>> X.^2
ans =
   1.0000    0.6400    0.3600    0.1600    0.0400
```
ანალოგიურად თუ გვინდა ვექტორების ელემენტი ელემენტზე გავამრავლოთ ან გავყოთ შემოგვაქვს ბრძანებები .*, ./ (აქ ვექტორები ან სვეტად ან სტრიქონად არის წარმოდგენილი)
```
>> y=[4 -3 5 -2 1]
y =
   4   -3    5   -2    1
>> X.*y
ans =
   4.0000   -2.4000    3.0000   -0.8000    0.2000
>> X./y
ans =
```

0.2500 -0.2667 0.1200 -0.2000 0.2000.

თუ გვინდა ვექტორების ელემენტი ელემენტზე გავამრავლოთ ისე რომ ერთი სტრიქონის და მეორე სვეტის სახით არის წარმოდგენილი მაშინ წერტილის გარეშე ვწერთ გამრავლებას, მხოლოდ*.

```
>> y=[4 -3 5 -2 1]
y =
    4   -3    5   -2    1
>> x=[4; -3; 5 ;-2 ;1]
x =
    4
   -3
    5
   -2
    1
>> x*y
ans =
   16  -12   20   -8    4
  -12    9  -15    6   -3
   20  -15   25  -10    5
   -8    6  -10    4   -2
    4   -3    5   -2    1
>> y*x
ans =
   55
```

ვექტორის სიგრძის დადგენა ხდება ბრძანებით **length.** მაგალითად

```
>> length(y)
ans =
    5
>> whos y
  Name      Size                Bytes  Class
  y         1x5                    40  double array
Grand total is 5 elements using 40 bytes.
```

მატრიცა

მატრიცა იწერება კვადრატული ფრჩხილების საშუალებით სადაც სტრიქონის თვითეული ელემენტი მძიმით ან ჰარით გამოიყოფა, ხოლო ყოველი ახალი სტრიქონები გამოიყოფა წერტილ მძიმით.

პროგრამა **MATLAB**-ი უპირატესობას ანიჭებს მატრიცის სვეტებთან მუშაობას. მაგალითად

```
>> A=[1 2 3 4;5 6 7 8;9,10,11,12]
A =
    1    2    3    4
    5    6    7    8
    9   10   11   12
```

A მატრიცის ჯამის, მინიმუმის და მაქსიმუმის პოვნა ხთება სვეტების მიმართ

```
>> sum(A)
ans =
```

```
   15    18    21    24
>> max(A)
ans =
    9    10    11    12
>> min(A)
ans =
    1     2     3     4
```
შეგვიძლია გამოვყოთ სტრიქონი ან სვეტი მატრიცაში სიმბოლოს **:** მეშვეობით. მაგალითად
```
>> A(:,1)
ans =
    1
    5
    9
>> A(2,:)
ans =
    5     6     7     8
```
ინდექსი

i სტრიქონში და **j** სვეტში მდგომი **ელემენტი აღინიშნება A(i,j).** მაგალითად
```
>> A=[1 2 3; 4 5 6; 8 9 10]
A =
    1     2     3
    4     5     6
    8     9    10
>> A(1,3)
ans =
    3
```
ორი წერტილიანი ოპერატორის გამოყენებით შეიძლება გამოყოთ ელემენტები. მაგალითად
```
>> A(1:2,3)
ans =
    3
    6
```
>> მატრიცის დიაგონალის ელემენტები
```
>> diag(A)
ans =
    1
    5
   10
>> sum(diag(A))
ans =
   16
```
სტრიქონების და სვეტების ამოჭრა
```
>> X=A
X =
    1     2     3
    4     5     6
    8     9    10

>> X(:,2)=[]
X =
```

```
   1    3
   4    6
   8   10
>>
X =
   1    3
   4    6
   8   10

>> X(1,:)=[]

X =

   4    6
   8   10
```

გამოსახულებაში იღებთ შეცდომას

```
>> X(1,1)=[]
??? Indexed empty matrix assignment is not allowed.
```

მაგრამ თუ გამოიყენებთ ერთ ინდექს, მაშინ შეცდომას აღარ მიიღებთ მაგალითად

```
>> A
A =
   1    2    3
   4    5    6
   8    9   10
>> A(2:2:9)=[]
A =
   1    8    5    3   10.
>> A+1
ans =

   2    3    4
   5    6    7
   9   10   11
>> A*3
ans =
   3    6    9
  12   15   18
  24   27   30
```

მატრიცების გენერირება

eye - ერთეულოვანი მატრიცაა.

rand -შემთხვევითი ელემენტების თანაბარი განაწილება

randn-შემთხვევითი ელემენტების ნორმალური განაწილება

```
>> eye(3)
ans =
   1    0    0
   0    1    0
   0    0    1
>> Z=zeros(2,4)
```

```
Z =
    0     0     0     0
    0     0     0     0
>> F=5*ones(3,3)
F =
    5     5     5
    5     5     5
    5     5     5

>> N=fix(10*rand(1,10))

N =

    9     2     6     4     8     7     4     0     8     4
>> R=randn(4,4)
R =
   -0.4326   -1.1465    0.3273   -0.5883
   -1.6656    1.1909    0.1746    2.1832
    0.1253    1.1892   -0.1867   -0.1364
    0.2877   -0.0376    0.7258    0.1139

>> R=randn(4,4)
R =
    1.0668    0.2944   -0.6918   -1.4410
    0.0593   -1.3362    0.8580    0.5711
   -0.0956    0.7143    1.2540   -0.3999
   -0.8323    1.6236   -1.5937    0.6900

>> R=randn(4,4)
R =

    0.8156    1.1908   -1.6041   -0.8051
    0.7119   -1.2025    0.2573    0.5287
    1.2902   -0.0198   -1.0565    0.2193
    0.6686   -0.1567    1.4151   -0.9219
>>მაგიური მატრიცა
> B=magic(4)
B =
    16     2     3    13
     5    11    10     8
     9     7     6    12
     4    14    15     1
>> sum(B)
ans =
    34    34    34    34
>> sum(diag(B))
ans =
    34
```

მატრიცის გაერთიანება

```
>> B=[A+1 A+3; A+45 A*6]
B =
```

```
   2    3    4    4    5    6
   5    6    7    7    8    9
   9   10   11   11   12   13
  46   47   48    6   12   18
  49   50   51   24   30   36
  53   54   55   48   54   60
```

თუ გვინდა **გავამრავლოთ მატრიცა B ვექტორზე Z,** ამისათვის უნდა მოვახთინოდ ვექტორის ტრანპოზიცია **Z'** და მასზე გამრავლება :

```
>> Z=[1 3 5]
Z =
   1    3    5
B =
   1    2    3
   5    6    7
   9   10   12
>> B*Z'
ans =
   22
   58
   99
```

B მატრიცის **B':**

```
>> B'
ans =
   1    5    9
   2    6   10
   3    7   12
```

B მატრიცის **დეტერმინანტის** გამოსათვლელად გამოიყენება ბრძანება **det**

```
>> det(B)
ans =
   -4
```

B მატრიცის **შებრუნება** ხდება ბრძანებით **inv(B):**

```
>> inv(B)
ans =

  -0.5000   -1.5000    1.0000
  -0.7500    3.7500   -2.0000
   1.0000   -2.0000    1.0000
```

A-მატრიცის რანგის გამოსათვლელად ვიყენებთ rank(A). მაგალითად

A=[1 3 5; 1 7 9; 4 -3 9]

```
 >> rank(A)
ans =
   3
```

თუ დიდი განზომილების ვექტორები ან მატრიცები გვაქვს, ანდა რეზულტატი არ გვინდა გამოვიდეს ეკრანზე, მაშინ ბრძანების შეტანის ბოლოს წერტილ მძიმეს დაუსვავთ ; მაგალითად

X=-1:0.1:2;

კონკატენაცია ვერტიკალური იწერება1, ხოლო ვერტიკალური 2

```
x=[[1;3;5],[2;4;6]]
x =
    1    2
    3    4
    5    6
>> x=cat(2,[1;3;5],[2;4;6])
x =
    1    2
    3    4
    5    6
>> x=[[1 2];[3 4];[5 6]]
x =
    1    2
    3    4
    5    6
>> x=cat(1, [1 2];[3 4];[5 6])
x =
    1    2
    3    4
    5    6
```

თუ საჭიროა ამოვხსნათ ალგებრულ განტოლებათათა სისტემა **Ay=b,** სადაც **A** – მოცემული კვადრატული მატრიცაა, **b**- ვექტორ -სვეტია , ამისათვის საკმარისია გამოვითვალოთ გამოსახულება **A\b.**

მაგალითად

```
>> A=[1 3 5; 1 7 9; 4 -3 9]
A =
    1    3    5
    1    7    9
    4   -3    9
>> b=[1 3  9]'
b =
    1
    3
    9
>> A\b
ans =
   -6.7500
   -2.6250
    3.1250
```

იმისათვის რომ სიმბოლური ფორმით განვსაზღვროთ ამოხსნა, თუ **A** და **b** – სიმბოლურები არიან, უნდა განვსაზღვროთ შემდეგნაირად **x=sym(A)\b.**

მაგალითად

```
>> syms a1 a2 a3 a4,   A=[a1 a2; a3 a4]
 A =
 [ a1, a2]
[ a3, a4]
 >> syms b1 b2 , b=[b1; b2]
```

```
 b =
 [ b1]
[ b2]
 >> x=sym(A)\b
 x =
 [ -(a4*b1-b2*a2)/(a3*a2-a1*a4)]
[  (a3*b1-a1*b2)/(a3*a2-a1*a4)]
```

მომხმარებლის მიერ მოცემული ფუნქციები

განვიხილოთ ორი ხერხი საკუთარი ფუნქციის მოცემისა პროგრამა ‘ Matlab’-ში. პირველი ხერხი იყენებს ბრძანება inline, ხოლო მეორე გამოიყენებს ოპერატორს @ მისათვის რომ შექმნას ეგრეთწოდებული ’ანონიმური ფუნქცია’. ფუნქციის წარმოდგენა აგრეთვე მოხდეს ეგრეთ წოდებული M- ფაილების სახით. მაგალითში ნაჩვენებია $\mathbf{f(x)=x^2}$ მოცემა ამ ბრძანებების გამოყენებით :

```
>> f1=inline('x^2','x')
f1 =
     Inline function:
     f1(x) = x^2
>>  f1(4)
ans =
    16
>> f=@(x)x^2
>>  f(4)
ans =
    16
```

რადგან უმეტეს ფუნქციებს შეუძლიათ პროგრამა ‘ Matlab’-ში მოქმედებდეს როგორც ვექტორებზე ასევე სკალარებზეც, ამიტომ წერტილი ჩასვით ოპერატორების ***, /, ^** წინ. იმისათვის რომ მივიღოთ ვექტორული ვერსია $\mathbf{f(x)=x^2}$ შემოიყვანეთ სტრიქონი

```
>> f=@(x)x.^2
      |

>> f1=inline('x.^2','x')
f1 =
     Inline function:
     f1(x) = x.^2
>> f1(1:5)
ans =
     1     4     9    16    25
```

ფუნქციის წარმოდგენა შეიძლება ორი ან მეტი ცვლადებით. მაგალითად

```
>> g=@(x,y)x^2+y^2;g(1,2);
>> g1=inline('x^2+y^2','x','y');g1(1,2)
ans =
     5
```

აგრეთვე შეგიძლიათ გამოთვალოთ ვექტორები თუ გამოვიყენებთ წერტილს ოპერატორების ***, /, ^** წინ.

```
>> g=@(x,y)x.^2+y.^2; g([1 2],[3 4])
>> g1=inline('x.^2+y.^2','x','y');g1([1 2],[3 4])
```

```
ans =
   10    20
```

ელემენტარული ფუნქციები.

ზოგიერთი ძირითადი ელემენტარული მათემატიკური ფუნქციები ჩაშენებული **MATLAB** ში.

sin, asin ,cos, acos,tan, atan, exp,

log ითვლის მასივის ელემენტების ნატურალურ ლოგარითმს , **log10** ითვლის მასივის ელემენტების ათობით ლოგარითმს,

pow2: Y= pow2(X) არის მაჩვენებლიანი ფუნქცია 2 ის ფუძით.

sqrt: y= sqrt(X) - ითვლის მასივის ელემენტების კვადრატულ ფესვს.

fix: fix(A) ამრგვალებს **A** მასივის ნამდვილ ელემენტებს 0-კენ

```
>> A=[11 0.007; 19978 -0.9989]
A =
  1.0e+004 *
    0.0011    0.0000
    1.9978   -0.0001
>> fix(A)s =
        11         0
     19978         0
```

floor: floor (A) ამრგვალებს **A** მასივის ნამდვილ ელემენტებს **--inf** კენ

```
>> floor(A)
ans =
        11         0
     19978        -1
```

ceil: ceil (A) ამრგვალებს **A** მასივის ნამდვილ ელემენტებს **inf** კენ

```
>> ceil(A)
ans =
        11         1
     19978         0
```

round: round(A) ამრგვალებს **A** მასივის ნამდვილ ელემენტებს უახლოეს მთელამდე.

```
>> round(A)
ans =
        11         0
     19978        -1
```

mod: M=mod(X,Y) აბრუნებს ნაშთს მიღებულს გაყოფისას **X :Y**

```
>> X=7, Y=3
X =
     7
Y =
     3
>> M=mod(X,Y)
M =
     1
```

rem: M= rem (X,Y) აბრუნებს მთელ ნაწილს მიღებულს გაყოფისას **Y: X**

```
>> Y=55,X=7, rem(X,Y)
Y =
   55
```

X =

7

ans =

7

sign: sign(x) აბრუნებს -1, თუ x<0, 0 თუ x=0 და 1 თუ x>0.

მიმართების ოპერაციები და ლოგიკური ოპერაციები რიცხვებზე

მიმართების ოპერატორები

<	ნაკლები
<=	ნაკლები ან ტოლი
>	მეტი
>=	მეტი ან ტოლი
==	უდრის
~ =	არ უდრის

მიმართების ოპერატორების გამოყენებისას დარდება ორი მასივი ერთი და იგივე განზომილების ან დარდება მასივი სკალართან. ამ მეორე შემთხვევაში სკალარი დარდება მასივის ყველა ელემენტს და შედეგად ვიღებთ იმავე ზომის მასივს.

>> A=1:9,B=8-A

A =

1 2 3 4 5 6 7 8 9

B =

7 6 5 4 3 2 1 0 -1

>> tf1=A<=4

tf1 =

1 1 1 1 0 0 0 0 0

>> tf2=A>B

tf2 =

0 0 0 0 1 1 1 1 1

>> tf3=(A==B)

tf3 =

0 0 0 1 0 0 0 0 0

>> tf4=B-(A>2)

tf4 =

7 6 4 3 2 1 0 -1 -2

>>

შევნიშნოთ რომ = და== სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. == ადარებს ორ ცვლადს და აბრუნებს მნიშვნელობას 1 სადაც ისინი ტოლებია და ნულს სადაც ისინი ტოლები არ არიან, ხოლო = მიანიჭებს გამოსატან ოპერატორს მნიშვნელობას.

ნულზე გაყოფის აცილება

განვიხილოთ შემდეგი:

>> x=(-3:3)/3

x =

Columns 1 through 5

-1.0000 -0.6667 -0.3333 0 0.3333

Columns 6 through 7

0.6667 1.0000

>> sin(x)./x

ans =

0.8415 0.9276 0.9816 NaN 0.9816 0.9276 0.8415

აქ მეოთხე ელემენტი არის ***NaN*** ***(***ნიშნავს ***Not a Number)*** , რადგან მეოთხე ელემენტი ***x*** ში უდრის ***0*** და ***sin(0)./0*** არ არის განსაზღვრული. ამის ასაცილებლად ***0-*** ლი ***xX-*** ში შევცვალოთ სპეციალური რიცხვით ***eps,*** რომელიც მიახლოებით ***2.2X10*** $^{-16}$

>> x=(-3:3)/3

x =

-1.0000 -0.6667 -0.3333 0 0.3333 0.6667 1.0000

>> x=x+(x==0)*eps

x =

-1.0000 -0.6667 -0.3333 0.0000 0.3333 0.6667 1.0000

```
>> sin(x)./x

ans =
  0.8415   0.9276   0.9816   1.0000   0.9816   0.9276   0.8415
>>
```

ლოგიკური ოპერატორები (იხ. **help relop**)

&	და
|	ან
~	არა

მეოთხე ლოგიკური ოპერატორი წარმოდგენილია შემდეგი ფუნქციით: განვიხილოთ ლოგიკური ფუნქცია **xor.** ეს ფუნქცია ორ არგუმენტიანია და განიხილავს მათ მიმართ ოპერაციას 'ან –ის გამორიცხვა', ღებულობს ერთის ტოლ მნიშვნელობას (´ჭეშმარიტი´) მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთერთი რიცხვითი არგუმენტი ჭეშმარიტია (´არ ურდრის ნოლს´), ხოლო მეორე მცდარი (´ურდრის ნოლს´).

A	B	~A	A|B	A&B	xor(A,B)
0	0	1	0	0	0
0	1	1	1	0	1
1	0	0	1	0	1
1	1	0	1	1	0

პრიორიტეტი მიმართებების ოპერატორების იწყება ~, &, |. ფრჩხილები ცვლიან პრიორიტეტს.
მაგალითები:

```
>> A=1:9

A =
   1   2   3   4   5   6   7   8   9

>> tf1=A>4

tf1 =
   0   0   0   0   1   1   1   1   1

>> tf2=~(A>4)
tf2 =

   1   1   1   1   0   0   0   0   0

>> tf3=(A>2)&(A<6)
tf3 =
   0   0   1   1   1   0   0   0   0
```

```
>> tf4=xor((A>2),(A<6))

tf4 =
   1    1    0    0    0    1    1    1    1

>>
>> a=1; b=0;
>> xor(a,b)
ans =
   1
```
იმ შემთხვევაში როდესაც ორივე არგუმენტი `ჭეშმარიტია´ ან ორივე `მცდარი´, მოცემული ფუნქცია **xor** ურდრის ნოლს
```
>> a=1; b=1;
>> xor(a,b)
ans =
   0
```
მაგალითები. განვიხილოთ:
```
>> A=[1 1 1;2 2 2;3 3 3]
A =
   1    1    1
   2    2    2
   3    3    3
>> B=[0 0 0;7 7 7 ;1 2 3]
B =
   0    0    0
   7    7    7
   1    2    3
>> A<=B
ans =
   0    0    0
   1    1    1
   0    0    1
>> xor(A,B)
ans =
   1    1    1
   0    0    0
   0    0    0
>> v=[1 2 3 4 0]
v =
   1    2    3    4    0
>> ~v
ans =
   0    0    0    0    1
```
ოპერატორი ´ ლოგიკური ან ` იღებს ნოლს თუ ორივე ოპერანდი **0** – ია, და იღებს ერთს თუ ეს ასე არ არის.
```
>> 2|3
ans =
   1
```
ლოგიკური გამოსახულება გამოთვლისას ღებულობს მნიშვნელობას 0 (თუ მცდარია) და 1 (თუ ჭეშმარიტია)

```
>> 2>3
ans =
    0
```
ლოგიკური ოპერატორი მოქმედებს თვითეულ ელემენტზე
```
>> [2 3]<[3 2]

ans =
    1     0
>> x=-2:2; x>=0
ans =
    0     0     1     1     1
```
ვთქვათ
```
>> a=3;b=5;c=7;
>> (a<b)+(c~=b)+(b==a)
ans =
    2
```

ლოგიკური ფუნქციები

ლოგიკური ფუნქციები მოქმედებენ სკალარზე, ვექტორებზე, და მატრიცებზე. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

